საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/227
16/01/2026

227-01-2-202601160927

ვლადიმერ ხელაშვილს
მის.:
ელ-ფოსტა:
ტელ:

ბატონო ვლადიმერ,

2026 წლის 14 იანვრის №01/243 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (ამჟამად - სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო) (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს პროცედურის დანართი №1-ით დადგენილი ფორმის შესაბამისი განცხადება მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის შესახებ (შემდგომში – განცხადება).

ამასთან, პროცედურის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, სააგენტო ამოწმებს განცხადების ფორმალურ შესაბამისობას კანონის, ამ პროცედურის მე-2 მუხლითა და დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს მოვაჭრის დასახელებას (სახელი, გვარი/პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), დასახელებას ან/და საიდენტიფიკაციო ნომერს (იურიდიული პირის შემთხვევაში), მისამართს და არსებობის შემთხვევაში, საკონტაქტო ინფორმაციას). თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადებით ვერ დგინდება მოვაჭრის დასახელება ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი და მისამართი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წარმოადგინოთ ზემოთ მითითებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია. აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

პატივისცემით,

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე